


ამოხსნებს დაურთეთ მსჯელობა

1. დაადგინეთ კავშირი ჩაკეტილ წრედში გამავალ დენს, ემ ძალა და წრედის სრულ წინააღობას შორის.

2. ელექტოჩაიდანში 1ლ მოცულობის $5^{\circ}C$ ტემპერატურის წყალი 15 წუთში ადუღდა. განსაზღვრეთ რა რაოდენობის მუხტმა გაიარა ჩაიდნის სპირალში, თუ მისი წინააღობა 30

ომია, ხოლო ჩაიდნის მქ კოეფიციენტი 60%. $C_{წყ} = 4200 \frac{ჯ}{კგ \cdot K}$.

3. განსაზღვრეთ როგორი იქნება ორი ერთნაირი ნათურას კაშკაში K_1 ჩამრთველ-ამომრთველისა და K_2 გადამრთველის სხვადასხვა მდებარეობისას. ნათურები გაანგარიშებულია იმ დაბვაზე, რაც დენის წყაროს მომჭერებზეა. დენის წყაროს მომჭერებზე დაბვა მუდმივად ჩათვალეთ.



4. რა განსხვავებაა ელექტროლიტებსა და აირებში იონების წარმოქმნის მექანიზმებს შორის? პასუხი დაასაბუთეთ.

5. შაბიამნის ხსნარის აბაზანები მიმდევრობითაა შეერთებული. მეორე აბაზანა ორჯერ გრძელია პირველზე, მესამეში ხსნარი თბება, ხოლო მეოთხეში შაბიამნის ნაჯერი ხსნარია. შეადარეთ თითოეულის კათოდზე გამოყოფილი სპილენძის მასა ერთმანეთს. პასუხი დაასაბუთეთ.

6. რა ძირითადი განსხვავებაა ლითონებსა და ნახევარგამტარების ელექტრულ გამტარობას შორის? პასუხი დაასაბუთეთ.

7. დენის წყარო რომლის ემ ძალაა \mathcal{E} , შიგა წინააღობა r , ჩაკეტილია რეოსტატის მეშვეობით.

ა. გამოსახეთ გარე წრედში დენის p სიმძლავრე როგორც I დენის ფუნქცია;

ბ. ააგეთ ამ დამოკიდებულების გრაფიკი;

გ. როგორი დენისას იქნება სიმძლავრე მაქსიმალური?